საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა ეკუმენურ მოძრაობაში და ამ მოძრაობის ისნტრუმენტალიზაცია საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1960-70-იან წლებში (საარქივო მასალებისა და ბეჭდური პუბლიკაციების შუქზე)

ნანა სარალიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთა
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ნინო
მატარაძეს ამავე ფაკულტეტის თანამედროვე
საქართველოს ისტორიის მაგისტრანტის
ნანა სარალიშვილის

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა სარალიშვილი
2022

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში მისი რელიგიური პოლიტიკა რამდენიმეჯერ შეიცვალა შექმნილი საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით. 1960-1970-იან წლებში, ცივი ომის კონტექსტში, საბჭოთა კავშირმა ჯერ განაახლა ანტირელიგიური კამპანია სტალინის მიერ შერბილებული პოლიტიკის პასუხად, შემდეგ კი კვლავ შეცვალა სტრატეგია და რელიგიური ცხოვრების კონტროლის უფრო მსუბუქ ფორმებს მიმართა. მთავარი იდეოლოგიური ხაზი, რომლის მიხედვითაც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე რელიგია დაბრკოლებას წარმოადგენდა და უნდა აღმოფხვრილიყო, არასოდეს შეცვლილა. რელიგიასთან სხვადასხვა ფორმით ბრძოლის პარალელურად, სსრკ ახალისებდა საბჭოთა ეკლესიების მონაწილეობას საერთაშორისო ეკუმენურ მოძრაობაში - განსაკუთრებული როლი ამ მოძრაობაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (WCC) ჰქონდა. 1960-იანი წლების დასაწყისში არაერთი ეკლესია გაწევრიანდა საბჭოში კომუნისტური ქვეყნებიდან, რამაც გაზარდა მათი გავლენა ეკუმენურ მოძრაობაზე (სმე ეკლესია 1962 წელს გახდა წევრი). ძირითადი გზავნილები, რომლებსაც საბჭოთა ეკლესიები, მათ შორის სმე, აჟღერებდა საერთაშორისო არენაზე ეხებოდა განიარაღებას, სამშვიდობო მოძრაობას და რაც მთავარია, ემსახურებოდა სსრკ-ში არსებულ რელიგიური მდგომარეობის შესახებ დასავლური ნარატივის შეცვლას და სიყალბედ წარმოჩენას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საარქივო დოკუმენტებისა და ბეჭდური პუბლიკაციების ფონზე გააანალიზოს საბჭოთა კავშირის რელიგიური პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე 1960-1970-იან წლებში, ცივი ომის კონტექსტში შეაფასოს ეკუმენური ურთიერთობების როლი საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე, გამოიკვლიოს საერთაშორისო ეკუმენური მოძრაობის ინსტრუმენტალიზაციის თავისებურებები საბჭოთა კავშირის მიერ, ასევე, გამოკვეთოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ამ პროცესებში.

Abstract

Throughout the Soviet Union's existence, religious policy changed many times in response to international and internal political circumstances. Firstly, in the 1960s and the 1970s, in the context of the Cold War, the Soviet Union renewed an anti-religious campaign in response to Stalin's relaxed policies, and then changed the approach once again by employing the new strategy of softened policies. Despite changing policies the main ideological framework was never abandoned, according to which religion had to be uprooted for the communist society to be achieved. While the Soviet Union combated religion in various ways, it also encouraged the participation of the churches from communist countries to join the international ecumenical movement – where WCC (World Council of Churches) held a prominent role. Soviet churches joined the WCC in the early 1960s (Georgian Orthodox Church became a member in 1962) which expanded Soviet influence over the international ecumenical movement. The primary messages relayed by the Soviet churches dealt with the peace movement, disarmament, and most important of all: they actively tried to undermine the Western narrative about the religious life in Soviet Union and prove it to be false.

Using archival documents and printed publications, the main task of this thesis is to analyze Soviet religious policy and its influence over the Georgian Orthodox Church in 1960-1970s, evaluate the role of ecumenical relationships internationally and locally within the context of the Cold War, research the particularities of instrumentalization of the ecumenical movement by the Soviet Union and to explain the role of Georgian Orthodox Church in these processes.